ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2415555

ნომერი: AR1369303

თარიღი : 08.01.2016

გაცემის თარიღი : 04.02.2016

გაცნობის თარიღი : 04.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მიხეილ მესხი , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა ცერცვაძე პ/ნ 65007000276
- თბილისი მუხიანი II მ/რ კორ. 16 ბ. 11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 29/07/2014წ. №1409607 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 08 იანვარს NAR1369303 განაცხადით მომართა გოჩა ცერცვაძემ და ამავე სამსახურის 29/07/2014 წლის №1409607

ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური ხარვეზის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 29/07/2014 წლის №1409607 ბრძანებით ქ. თბილისში, მიხეილ მესხის ქ. №15-ში, შპს „ჯორჯიან ამერიკან დეველოპერებისა“ და ლიანა ბაქრაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: №01.12.20.055.043) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო აღნიშნული ბრძანების საფუძველზე სამსახურის 25/06/2015 წლის N1975836 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 25/06/2015 წლიდან 25/04/2017 წლის ჩათვლით. სამსახურის 30/12/2015 წლის №2367531 ბრძანებით განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად №1409607 ბრძანებით განსაზღვრულ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში გასწორდა ტექნიკური ხარვეზი.
განმცხადებელი განმარტავს, რომ დამხმარე და საზაფხულო ფართობი კვლავ არასწორადაა დაანგარიშებული, კერძოდ, საზაფხულო ფართობი 471,1 კვ.მ–ის ნაცვლად შეადგენს 466,2 კვ.მ., დამხმარე ფართობი 6,2 კვ.მ.–ის ნაცვლად შეადგენს 6,8 კვ.მ–ს, შესაბამისად, იცვლება საერთო ფართობიც, რომელიც ნაცვლად 2254.5 კვ.მ–ისა არის 2250,2 კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე შესაბამისობაშია შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 29/07/2014 წლის №1409607 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვნებელებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 29/07/2014 წლის №1409607 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:2250,2; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 466,2; დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 6,8; სამსახურის 29/07/2014 წლის №1409607 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 29/07/2014 წლის №1409607 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.